

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

ოქმი N3

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

16 დეკემბერი, 2020 წელი

15:00 საათი

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - გიორგი ივანიაძე.

სხდომას ესწრებოდა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 14 წევრი: გიორგი ივანიაძე, სალომე ფახურიძე, მიხეილ სვანაძე, ლელა ჩიკვაძე, მარინა ღვინიაძე, ნატო დვალიშვილი, გელა ჩიკვაძე, თამარ ძნელაძე, გვანცა სიგუა, თამარ შენგელია, ივანე მამფორია, თამაზი თავაძე, ტარიელ ბარამიძე, ნათია ძოძუაშვილი.

/დანართი: N1/

საპატიო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდნენ: ალექსანდრე ლილუაშვილი, თამთა დვალიშვილი, გონერი მეფარიშვილი, ნიკოლოზ დვალიშვილი, მამუკა ნამიჭეიშვილი, ეთერი ჭიჭინაძე, ნანა ლილუაშვილი, აპოლონ რამიშვილი.

სხდომას უძღვებოდა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე-გიორგი ივანიაძე, მან სხდომა გახსნილად გამოაცხადა და გენდერული საბჭოს წევრებს დღის წესრიგი გააცნო.

დღის წესრიგი

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს სამოქმედო 2020-2021 წ. წ. სამოქმედო გემის შესრულების ანგარიში და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოსმენა;

მომხს./სალომე ფახურიძე/

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა-გენდერული საბჭოს მდივანმა-სალომე ფახურიძემ აღნიშნა, რომ „ საბჭოს პორველ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება, რომ ქალთა და დედის დღესთან დაკავშირებით 8 მარტს-ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ვანის მუნიციპალიტეტის მასშტაბით უნდა შერჩეულიყო 4 ნომინაცია:

1. „უზუცესი ექთანი“;
2. „სტაჟიანი მეეზოვე ქალი“;
3. „ყველაზე ახალგაზრდა მრავალშვილიანი დედა“
4. „სტაჟიანი პედაგოგი“

აღნიშნულ ნომინაციაში გამოვლენილ ქალბატონებს გადაცემოდათ შესაბამის სიმბოლური საჩუქრები, თუმცა სამწუხაროდ პანდემიიდან გამომდინარე აღნიშნული აქტივობა ვერ განხორციელდა, მაგრამ ეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ტრადიციულ ხასიათს მიიღებს და მომავალში აუცილებლად განხორციელდება. მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ბიუჯეტი, ფინანსური რესურსების გარეშე გენდერული თანასწორობის საბჭო სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობებს ეფექტურად ვერ განახორციელებს. სტატისტიკას რაც შეეხება ამ ეტაპზე გენდერულ ჭრილში ავსახეთ მუნიციპალიტეტის მასშტაბით საჯარო, კერძო სექტორებში (სავაჭრო დაწესებულებების გარდა) და ა(ი)პე-ებში დასაქმებული პირები, ეს პროცესი გაგრძელდება, რათა ხელშესახები სტატისტიკა გვექონდეს. საწყის ეტაპზე ინფორმირებულობის თვალსაზრისით აუცილებელია საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები ახალგაზრდებთან, საჯარო და კერძო სკოლებთან, შშმ პირებზე და მოწყვლად ჯგუფებზე ორიენტირებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, ოჯახური ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კამპანიების პერიოდულად ჩატარება, რასაც დაეთანხმა საბჭოს წევრები.

არი გამოთქვა: გენდერული საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ-გიორგი ივანიაძემ აღნიშნა, რომ "გენდერული ბიუჯეტი აუცილებელია იმ პრობლემების დასაძლევად, რომელიც კვლავ აქტუალურია გენდერული საბჭოსთვის, შესაბამისად გამოვყოთ პრიორიტეტები, დავგეგმოთ აქტივობები და შესაბამისი ხარჯების გათვალისწინებით შევადგინოთ ბიუჯეტის პროექტი, რათა შეძლებისდაგვარათ ავსახოთ მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები.

არი გამოთქვა: ევროკავშირის მიერ დაფინანსებული, კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმის“ პროექტის „გურიის, იმერეთის და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით“ კოორდინატორმა, გენდერული საბჭოს წევრმა-გურანდა გვანცელაძემ, პირველ რიგში ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმა 2020-2021 წ.წ. დახვეწას, მოქნილობას და მაქსიმალურად ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებას გაუსვა ხაზი.

საბჭომ განიხილა პირველი საკითხი და კენჭი უყარა.

მომხრე -14

წინააღმდეგი - არცერთი


დაადგინეს:

- საბჭოს წევრები ერთობლივი მუშაობით დახვეწავენ ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმას და აღნიშნული გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების მიზნით შეადგენენ გენდერული თანასწორობის საბჭოს ბიუჯეტს

საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ-გიორგი ივანიაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

გიორგი ივანიაძე



ის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მდივანი

სალომე ფახურიძე

ს. ვახუშტი

16.12.2020 წ.

გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის ხელმოწერების სია

| | სახელი გვარი | ხელმოწერა |
|----|-----------------------|---------------|
| 1 | ალექსანდრე ლილუაშვილი | 16.12.2020 წ |
| 2 | გიორგი ივანიაძე | გ. ივანიაძე |
| 3 | სალომე ფახურიძე | ს. ფახურიძე |
| 4 | ეთერი ჭიჭინაძე | |
| 5 | თამარ შენგელია | ა. შენგელია |
| 6 | თამარ დვალიშვილი | |
| 7 | ნიკოლოზ დვალიშვილი | |
| 8 | გონერი მეფარიშვილი | |
| 9 | მარინა ღვინიაძე | მ. ღვინიაძე |
| 10 | ნათია ძოძუაშვილი | ნ. ძოძუაშვილი |
| 11 | გელა ჩიკვაძე | გ. ჩიკვაძე |
| 12 | თამარ ძნელაძე | თ. ძნელაძე |
| 13 | მამუკა ნამიჭიშვილი | |
| 14 | მიხეილ სვანაძე | მ. სვანაძე |
| 15 | გვანცა სიგუა | გ. სიგუა |
| 16 | თამაზი თავაძე | თ. თავაძე |
| 17 | ივანე მამფორია | ი. მამფორია |
| 18 | ლელა ჩიკვაძე | ლ. ჩიკვაძე |
| 19 | ტარიელ ბარამიძე | ტ. ბარამიძე |
| 20 | ნანა ლილუაშვილი | |
| 21 | აკოლონ რამიშვილი | |
| 22 | ნატო დვალიშვილი | ნ. დვალიშვილი |